

გენერალური ხელშეკრულება No ----

ქ.-----

--.--.20--

მუხლი 1.

- 1.1. ბანკი:** სს"პროკრედიტ ბანკი"; საიდენტიფიკაციო კოდი: 204851197;
- 1.2. მსესხებელი/ სოლიდარული მსესხებლები:** სახელი, გვარი, (პ/ნ----), მისამართი:
- 1.3.** ამ ხელშეკრულების მიზნებისთვის, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში (კონტექსტის შესაბამისად), ტერმინი მსესხებელი შეიძლება მოიცავდეს როგორც ერთ მსესხებელს, ასევე, მსესხებელთა ჯგუფს ერთად (თანამსესხებლებს). მსესხებლები/თანამსესხებლები წარმოადგენენ სოლიდარულ მოვალეებს). თანამსესხებლები, ვთანხმდებით შემდეგზე:¹

მუხლი 2.

- 2.1.** მხარეები საბანკო პროდუქტებად მიიჩნევენ წინამდებარე გენერალური ხელშეკრულების საფუძველზე, მასში მითითებული ლიმიტის, პროცენტის და ვადის ფარგლებში დადებულ ნებისმიერი სახის საბანკო პროდუქტებს.
- 2.1.1.** წინამდებარე ხელშეკრულების დადება არ წარმოადგენს სესხის გაცემის შეპირებას. ამ ხელშეკრულებით დადგენილი წესით ბანკი უფლებამოსილია, საკუთარი შეხედულებისამებრ, წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე დადებული ხელშეკრულებებით გასცეს მსესხებელზე/მსესხებლებზე სასყიდლიანი საბანკო პროდუქტები შემდეგი პირობების ფარგლებში:

ა) გენერალური ხელშეკრულების ლიმიტი (ერთიანი ლიმიტი):	
---- (თანხა და ვალუტა) ან/და შესაბამისი ექვივალენტი ლარებში, ან/და შესაბამისი ექვივალენტი სხვა უცხოურ ვალუტაში. აღნიშნული ლიმიტით სარგებლობა მსესხებელს შეუძლია მრავალჯერადად, ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის მანძილზე. გაცემული საბანკო პროდუქტების ერთობლივი ჯამური ნაშთი არ უნდა აღემატებოდეს წინამდებარე ქვეპუნქტით დადგენილ ლიმიტს, გარდა რეფინანსირების შემთხვევისა. რეფინანსირება (რაც ამ ქვეპუნქტის მიზნებისათვის გულისხმობს ნებისმიერი მიზეზით, წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში, დამატებითი ან/და პარალელური სესხის გაცემას უკვე არსებული სესხის გადასაფარად) არ ჩაითვლება ამ ქვეპუნქტით დადგენილი ლიმიტის დარღვევად ან/და მის გადაჭარბებად.	
ბ) ლიმიტის მოქმედების ვადა (დროის ლიმიტი):	---- თვე
გ) მაქსიმალური საპროცენტო განაკვეთი (წლიური):	არაუმეტეს წლიური 36 %-ისა. თანხის გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში პროცენტიდან პროცენტის გადახდევინება დასაშვებია
2.2. შეთანხმებული უზრუნველყოფა და სოლიდარული თავდებობა:	
2.2.1. მხარეთა შეთანხმებით, მსესხებლის/მსესხებლების მიერ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება უზრუნველყოფილი იქნება გაფორმებული და/ან მომავალში გასაფორმებელი იპოთეკის, გირავნობის, ცესიის და ა.შ. ხელშეკრულებებით.	
2.2.2. წინამდებარე ხელშეკრულება და მის საფუძველზე დადებული ხელშეკრულებებით დადგენილი მსესხებლის/მსესხებლების ვალდებულებები მსესხებლ(ებ)თან ერთად შესრულდება ასევე სოლიდარული თავდებ(ებ)ის მიერ, მათთან გაფორმებული და/ან მომავალში გასაფორმებელი ხელშეკრულებ(ებ)ით დადგენილი წესით და საფუძველზე.	
2.2.3. თანამსესხებლები თანაბარწილად არიან პასუხისმგებელნი ნებისმიერი ვალდებულების შესრულებაზე ისე, რომ თითოეულმა უნდა მიიღოს მონაწილეობა მთლიანი ვალდებულების შესრულებაში. ამასთან, ბანკი უფლებამოსილია თავისი სურვილისამებრ შესრულება მოსთხოვოს ნებისმიერ მოვალეს როგორც მთლიანად, ასევე ნაწილობრივ. ვალდებულების მთლიანად შესრულებამდე დანარჩენი მოვალეების ვალდებულება ძალაში რჩება. ²	

- 2.3.** ამ გენერალური ხელშეკრულების საფუძველზე დადებულ ხელშეკრულებებზე სრულად ვრცელდება წინამდებარე გენერალური ხელშეკრულების მოქმედება, თუ გენერალური ხელშეკრულების საფუძველზე დადებული ხელშეკრულებები სხვა რამეს არ ითვალისწინებენ. თითოეული საბანკო პროდუქტის პირობები და მსესხებლის სხვა ვალდებულებანი დგინდება წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში და მის საფუძველზე დადებული ხელშეკრულებებით, რომლებიც წარმოადგენენ ამ გენერალური ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და მოქმედებენ მასთან ერთად. წინამდებარე გენერალური ხელშეკრულებითა და მის საფუძველზე დადებული ხელშეკრულებებით დადგენილი პირობები ვრცელდება ასევე უზრუნველყოფისა და თავდების სოლიდარული პასუხისმგებლობის შესახებ ხელშეკრულებაზე.
- 2.4.** პირგასამტეხლოს დარიცხვა გრძელდება გადახდის ვადის დარღვევიდან 90 დღის განმავლობაში, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ბანკი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის ან/და არაჯეროვნად შესრულებისათვის მოითხოვს ხელშეკრულების შეწყვეტას.

¹ თანამსესხებლობის შემთხვევაში² თანამსესხებლობის შემთხვევაში

2.5. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

მუხლი 3.

- 3.1.** გადახდისას პირველ რიგში იფარება საკომისიოები, გადახდის ვადის გადაცილების გამო დაკისრებული პირგასამტეხლო, შემდეგ დარიცხული პროცენტები და ბოლოს საბანკო პროდუქტის თანხა. აღნიშნული რიგითობა ბანკის შეხედულებისამებრ შეიძლება შეიცვალოს.
- 3.2.** მთელი კაპიტალის ან ნაწილის ვადამდე დაფარვისას პირველ რიგში დაიფარება ვადაზე ადრე დაფარვის დღისათვის დარიცხული პროცენტი სრულად. ამასთან, საშელავათო პერიოდის არსებობისას, ან მისი დასრულების შემდეგ, მთელი კაპიტალის ან მისი ნაწილის დაფარვის შემთხვევაში, პირველ რიგში დაიფარება საშელავათო პერიოდის განმავლობაში დარიცხული საპროცენტო სარგებელი/პირგასამტეხლო/ნებისმიერი სახის ხარჯი/საკომისიო სრულად (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
- 3.3.** გადახდის ვადის დადგომისას, ასევე გადახდის ვადის გადაცილებისას, ბანკი უფლებამოსილია მოახდინოს საბანკო პროდუქტისა და მასზე დარიცხული პროცენტების, ასევე ნებისმიერი სხვა გადასახდელებისა და პირგასამტეხლო/ჯარიმების დაფარვა მსესხებლის მიმდინარე ანგარიშებზე, მსესხებლის შემნახველი ანაბრის ანგარიშებზე, სადეპოზიტო ანგარიშზე (გარდა ვადიანი დეპოზიტისა, თუ სესხი არ არის უზრუნველყოფილი ვადიანი დეპოზიტით) და/ან მის სხვა ნებისმიერი სახის/ტიპის ანგარიშებზე არსებული თანხების, მათ შორის მსესხებლის ანგარიშ(ებ)ზე დაშვებული ოვერდრაფტის თანხიდან (აუთვისებელი ნაშთიდან), უაქცეპტოდ/მსესხებლის დამატებითი თანხმობის გარეშე ჩამოჭრის გზით. ამასთანავე, თუ უაქცეპტო წესით ჩამოსაჭრელი თანხა განსხვავდება ვალდებულების ვალუტისაგან, ბანკი უფლებამოსილია მსესხებლის ხარჯზე მოახდინოს ერთი სავალუტო ერთეულიდან მეორეში თანხის კონვერტაცია ბანკის კომერციული კურსის შესაბამისად.

მუხლი 4.

- 4.1.** მსესხებელი თანახმაა, რომ ბანკმა იძულებითი გადახდევინება მიაქციოს მსესხებლის და ან სოლიდარული თავდების კუთვნილ ნებისმიერ (მათ შორის არაუზრუნველყოფილ) ქონებაზე. ამასთან მსესხებლის მიმართ არსებული მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით იძულებითი აღსრულება თავდაპირველად შეეხება უზრუნველყოფის საგნებს, ხოლო თუ არ დაიფარება დავალიანება სრულად, შემდეგ მსესხებლის/სოლიდარული თავდების კუთვნილ სხვა ნებისმიერ ქონებას.
- 4.2.** მსესხებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების და/ან ამ ხელშეკრულების საფუძველზე დადებული ხელშეკრულებ(ებ)ის დარღვევის ნებისმიერი შემთხვევა (ან შეუსაბამობა ხელშეკრულებების პირობებთან) ანიჭებს ბანკს უფლებას მიიღოს დაკმაყოფილება ამ ხელშეკრულების 2.2-ე პუნქტში მითითებული ხელშეკრულებების საფუძველზე (რომლებიც წარმოადგენენ ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს).
- 4.3.** თუ იპოთეკის/გირავნობის საგნის რეალიზაციიდან ამონაგები თანხა არ არის საკმარისი იპოთეკით/გირავნობით უზრუნველყოფილი მოთხოვნის დასაფარად, მხარეები თანხმდებიან, რომ ასეთ შემთხვევაში უზრუნველყოფილი მოთხოვნის ოდენობა არ ჩაითვლება სრულად დაკმაყოფილებულად, არამედ ჩაითვლება დაკმაყოფილებულად მხოლოდ იმ ნაწილში, რასაც გასწვდება იპოთეკის/გირავნობის საგნის რეალიზაციის შედეგად ამონაგები თანხა.
- 4.4.** მსესხებელი ვალდებულია იღებს ბანკის მოთხოვნიდან ერთი თვის ვადაში წარმოადგინოს იპოთეკის და გირავნობის საგნის დაზღვევის პოლისი და/ან მსესხებლის სიცოცხლის საკრედიტო დაზღვევის პოლისი (მსესხებლის გარდაცვალების შედეგად კრედიტის დაუბრუნებლობის რისკის დაზღვევის პოლისი);
- 4.4.1.** მსესხებელი თანახმაა და უფლებამოსილებას ანიჭებს ბანკს, მისი ნებისმიერი სახის ანგარიშ(ებ)იდან ყოველთვიურად უაქცეპტოდ/მსესხებლის დამატებითი თანხმობის გარეშე ჩამოჭრას სადაზღვევო პრემიის თანხა და მასთან დაკავშირებული გადასახდელი (არსებობის შემთხვევაში) და განახორციელოს ანგარიშსწორება სადაზღვევო კომპანიასთან. სადაზღვევო კომპანიასთან ანგარიშსწორება ხდება ეროვნულ ვალუტაში (ლარში), თუ მსესხებლის ანგარიშზე არსებული თანხა სხვა ვალუტაშია, ბანკი უფლებამოსილია მსესხებლის ხარჯზე მოახდინოს ერთი სავალუტო ერთეულიდან მეორეში თანხის კონვერტაცია, ანგარიშიდან თანხის ჩამოწერის დღისთვის ბანკში მოქმედი კომერციული კურსის შესაბამისად, ჩამოწეროს კონვერტაციის საკომისიო (არსებობის შემთხვევაში) და მიმართოს შესაბამისი თანხა სადაზღვევო პრემიის/გადასახდელის დასაფარად. გადახდისას პირველ რიგში იფარება სადაზღვევო პრემიის თანხა და მასთან დაკავშირებული გადასახდელი (არსებობის შემთხვევაში) და ბოლოს საბანკო პროდუქტის თანხა;
- 4.4.2.** მსესხებელი აცნობიერებს და თანახმაა, რომ სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას, ბანკი უფლებამოსილია სადაზღვევო ანაზღაურებით დაიკმაყოფილოს თავისი მოთხოვნები. გირავნობის/იპოთეკის საგნის დაზღვევის შემთხვევაში, ბანკი უფლებამოსილია, სადაზღვევო ანაზღაურებით დაიკმაყოფილოს თავისი მოთხოვნები, რომელიც გამომდინარეობს შესაბამისი ქონებით უზრუნველყოფილი ხელშეკრულებ(ებ)იდან, ერთზე მეტი უზრუნველყოფილი ხელშეკრულების არსებობის შემთხვევაში, ბანკი საკუთარი შეხედულებით წყვეტს მოთხოვნის დაკმაყოფილების რიგითობას. ბანკი აგრეთვე უფლებამოსილია, სადაზღვევო ანაზღაურებით მოახდინოს საბანკო პროდუქტის ვადამდე (წინასწარ) დაფარვა.

მუხლი 5.

- 5.1.** ბანკი უფლებამოსილია ვადამდე ცალმხრივად შეწყვიტოს წინამდებარე და მის საფუძველზე დადებული ყველა მსესხებელთან გაფორმებული ხელშეკრულებები, მოითხოვოს ყველა გაცემული საბანკო პროდუქტ(ებ)ის ვადამდე დაფარვა, დარიცხული პროცენტის და ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს გადახდა, აგრეთვე ხელშეკრულების შეუსრულებლობით ან არაჯეროვნად შესრულებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება, ხოლო მსესხებელი(ები) ვალდებულია შეასრულოს აღნიშნული მოთხოვნები, თუ:
- 5.1.1.** დაირღვა საბანკო პროდუქტის დაფარვისთვის განსაზღვრული ვადები ან საბანკო პროდუქტის მიზნობრივად გამოყენების პირობა;
- 5.1.2.** არ შესრულდა ამ ხელშეკრულებით და მის საფუძველზე დადებული ხელშეკრულებებით, ასევე უზრუნველყოფის ან/და თავდების სოლიდარული პასუხისმგებლობის შესახებ ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებები, მათ შორის მესამე პირების მიერ;
- 5.1.3.** გაუარესდება მსესხებლის ან სოლიდარული თავდების ქონებრივი/ფინანსური მდგომარეობა (მათ შორის ჩამოერთმევა ქონება, ან შეეზღუდება სარგებლობის უფლება), ან შეიქმნება ასეთი საშიშროება და მსესხებელი არ წარმოადგენს დამატებით უზრუნველყოფის საშუალებას;
- 5.1.4.** მსესხებლის მიზანია ბანკის მოტყუება ან ბანკს მიენოდა მსესხებლის ვალდებულებების, სამეურნეო და/ან ფინანსური მდგომარეობის შესახებ ყალბი/არასწორი ცნობა, საბანკო პროდუქტის მიღების, ოდენობის გაზრდის და/ან შეღავათიანი პირობებით მიღებისათვის.

მუხლი 6.

- 6.1.** (ამოღებულია)
- 6.2.** ბანკი უფლებამოსილია, სოლიდარული თავდების ან უზრუნველყოფის მომწოდებლისათვის ხელმისაწვდომი გახადოს მსესხებელთან წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში გაფორმებული ნებისმიერი საკრედიტო ხელშეკრულების თავსართი და მოთხოვნის შემთხვევაში ხელშეკრულების ასლები იმავე ფორმით, რა ფორმითაც გაფორმებულია მსესხებელთან.
- 6.3.** ამ ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება მხოლოდ წერილობითი ფორმით. ამასთან, ცვლილების/დამატების შეტანისთვის წერილობითი ფორმის დაცვა და/ან ცვლილების შესახებ შეტყობინება სავალდებულო არ არის როდესაც კეთდება მომხმარებლის სასარგებლო ცვლილება. ასევე, ბანკი უფლებამოსილია ხელშეკრულებაში ცალმხრივად შეიტანოს ცვლილება ან/და დამატება თუ მსესხებლის, თანამსესხებლის, სოლიდარული თავდების (თუ სესხი უზრუნველყოფილია სოლიდარული თავდებობით) ან/და უზრუნველყოფის საგნის მესაკუთრის მიერ არ შესრულდება ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება.
- 6.4.** წინამდებარე ხელშეკრულებაზე და მის საფუძველზე დადებულ ხელშეკრულებებზე მოქმედებს და ვრცელდება „დამატებითი სახელშეკრულებო პირობები“, რომლითაც ასევე განსაზღვრულია მხარეთა სხვადასხვა სახის უფლება-მოვალეობანი და სახელშეკრულებო პირობები. „დამატებითი სახელშეკრულებო პირობები“ წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების შემადგენელ და განუყოფელ ნაწილს და სავალდებულოა შესასრულებლად. „დამატებითი სახელშეკრულებო პირობები“ განთავსებულია როგორც ბანკის ოფისებში, ასევე ბანკის ინტერნეტ გვერდზე www.procreditbank.ge. ხელშეკრულებაზე ხელმოწერით მსესხებელი ადასტურებს, რომ გაეცნო „დამატებითი სახელშეკრულებო პირობებს“, ეთანხმება, პრეტენზია არ გააჩნია და კისრულობს მათი შესრულების ვალდებულებას.
- 6.5.** ბანკი უფლებამოსილია, „დამატებითი სახელშეკრულებო პირობებში“ მოცემული წესით და მიზნებიდან გამომდინარე, დაამუშავოს მსესხებელ(ებ)ის შესახებ ნებისმიერი (მათ შორის, საბანკო, კომერციული, პერსონალური და ბიომეტრიული) მონაცემები, მათ შორის: გამოითხოვოს ინფორმაცია სს „კრედიტინფო საქართველოდან“, გადასცეს მსესხებლის და/ან წინამდებარე ხელშეკრულების/საბანკო პროდუქტის შესახებ ინფორმაცია სს „კრედიტინფო საქართველოს“, მიიღოს მსესხებლის პერსონალური მონაცემები სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოდან.
- 6.6.** ნებისმიერ ელექტრონულ ხელმოწერას, ხელმოწერის მიერ გარიგების დადასტურებას ინტერნეტ ბანკინგით, შეთანხმებული მეილით ან/და მხარეთა შორის შეთანხმებული ნებისმიერი სხვა სახის საკომუნიკაციო არხით, აქვს მატერიალურ დოკუმენტზე პირადი ხელმოწერის თანაბარი იურიდიული ძალა და გარიგება ძალაშია დადასტურების მომენტიდან. აღნიშნული ფორმით გარიგების დადასტურება არ შეიძლება გახდეს სადაო მატერიალურ დოკუმენტზე ფიზიკური ხელმოწერის არარსებობის გამო.
- 6.7.** ბანკის საზედამხებდებლო ორგანო: საქართველოს ეროვნული ბანკი. მისამართი: ქ. თბილისი, ზვიად გამსახურდიას სანაპირო N1.
- 6.8.** მსესხებელი აცხადებს, რომ გაეცნო ბანკის ფილიალში/ვებ-გვერდზე პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პირობებს და თანხმობას აცხადებს, საჭირო მოცულობით, მისი პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე.
- 6.8.** მსესხებლები აცხადებენ, რომ მათთვის ცნობილია ბანკის ფილიალში/ვებ-გვერდზე განთავსებული პერსონალური მონაცემების დამუშავების პირობები და თანხმობას აცხადებენ, საჭირო მოცულობით, მათი პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე.³
- 6.9.** წინამდებარე ხელშეკრულება გაფორმებულია მხარეებს შორის ორი თანაბარი ძალის მქონე ეგზემპლარად. ერთი ინახება ბანკში, ხოლო მეორე გადაეცემა მხარე(ებ)ს.

³ თანამსესხებლობის შემთხვევაში

მუხლი 7.

7.1. იმ შემთხვევაში, თუ წინამდებარე ხელშეკრულების დადების ადგილია დასავლეთ საქართველო, სადაც მოიაზრება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორია, გურიის, იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთის, სამეგრელო, ზემო სვანეთის და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორია, ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ან მასთან დაკავშირებული ნებისმიერი დავა (მათ შორის და არამხოლოდ დავა დაკავშირებული წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის, მოშლის, შეწყვეტის, ბათილობის, საარბიტრაჟო შეთანხმების არსებობის, მისი ნამდვილობის და შეწყვეტის შესახებ), განსახილველად გადაეცემა მუდმივმოქმედ არბიტრაჟს შემდეგი წესით:

7.1.1. დავას განიხილავს და წყვეტს შპს „არბიტრაჟის სახლი“ (საიდ. კოდი: 411322359);

7.1.2. თუ საარბიტრაჟო სარჩელის/შუამდგომლობის წარდგენის მომენტში, ზემოხსენებული არბიტრაჟი იქნება ლიკვიდირებული ან შეჩერებული/შეწყვეტილი ექნება ფუნქციონირება, ან უარს განაცხადებს დავის განხილვაზე, დავა განსახილველად და გადასაწყვეტად გადაეცემა შპს „თბილისის საარბიტრაჟო ინსტიტუტს“ (საიდ. კოდი: 205273005);

7.1.3. ამასთან, წინამდებარე საარბიტრაჟო შეთანხმებით, მხარეები ვთანხმდებიან, რომ ზემოაღნიშნულ შემთხვევაში დავის განხილვის ადგილია ქალაქი ქუთაისი.

7.1.4. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ საარბიტრაჟო სარჩელის/შუამდგომლობის წარდგენის მომენტში, ზემოხსენებული არბიტრაჟები იქნება ლიკვიდირებული ან შეჩერებული/შეწყვეტილი ექნებათ ფუნქციონირება, ან უარს განაცხადებენ დავის განხილვაზე, დავა განსახილველად და გადასაწყვეტად გადაეცემა საქართველოს საერთო სასამართლოებს, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ბანკის ადგილსამყოფელის მიხედვით.

7.1. იმ შემთხვევაში, თუ წინამდებარე ხელშეკრულების დადების ადგილია აღმოსავლეთ საქართველო, სადაც მოიაზრება ქალაქი თბილისი, შიდა ქართლის, ქვემო ქართლის, მცხეთა-მთიანეთის, კახეთის, სამცხე-ჯავახეთის ტერიტორია, ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ან მასთან დაკავშირებული ნებისმიერი დავა (მათ შორის და არამხოლოდ დავა დაკავშირებული წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის, მოშლის, შეწყვეტის, ბათილობის, საარბიტრაჟო შეთანხმების არსებობის, მისი ნამდვილობის და შეწყვეტის შესახებ), განსახილველად გადაეცემა მუდმივმოქმედ არბიტრაჟს შემდეგი წესით:

7.1.1. თუ წინამდებარე ხელშეკრულების 2.1.1. „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით გენერალური ხელშეკრულების ლიმიტი ტოლია ან ნაკლებია 500 000 (ხუთასი ათასი) აშშ დოლარზე (ან ექვივალენტი ნებისმიერ სხვა ვალუტაში), დავას განიხილავს და წყვეტს შპს „თბილისის საარბიტრაჟო ინსტიტუტი“ (საიდ. კოდი: 205273005), ხოლო თუ მეტია დავას განიხილავს და წყვეტს შპს „დავების განმხილველი ცენტრი“ (საიდ. კოდი: 204547348).

7.1.2. თუ საარბიტრაჟო სარჩელის/შუამდგომლობის წარდგენის მომენტში, საქმის განმხილველი რომელიმე არბიტრაჟი (მაგ: შპს „თბილისის საარბიტრაჟო ინსტიტუტი“) იქნება ლიკვიდირებული ან შეჩერებული/შეწყვეტილი ექნება ფუნქციონირება, ან უარს განაცხადებს დავის განხილვაზე, დავა განსახილველად და გადასაწყვეტად გადაეცემა მეორე არბიტრაჟს და პირიქით.

7.1.3. ამასთან, წინამდებარე საარბიტრაჟო შეთანხმებით, მხარეები ვთანხმდებიან, რომ ზემოაღნიშნულ შემთხვევაში დავის განხილვის ადგილია ქალაქი თბილისი.

7.1.4. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ საარბიტრაჟო სარჩელის/შუამდგომლობის წარდგენის მომენტში, ზემოხსენებული არბიტრაჟები იქნება ლიკვიდირებული ან შეჩერებული/შეწყვეტილი ექნებათ ფუნქციონირება, ან უარს განაცხადებენ დავის განხილვაზე, დავა განსახილველად და გადასაწყვეტად გადაეცემა საქართველოს საერთო სასამართლოებს, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ბანკის ადგილსამყოფელის მიხედვით.